




№ 24

გაზ. „მუშა“-ს ყოველკვირეული უფასო დამატება

№ 24

აღსარება




„ავსტრიის მრეწველობის გაუმჯობესება დიდად დამოკიდებულია ჩერვონეცზე“
 „გენაში ჩერვონეცი დიდ ტრიპლია“
 გაზეთებიდან.



ბადმოგრაჟანდით ჩვენსკენც აქვით
 სიმდიდრით და ჩაჩვონეცით.
 გვაპატივით, რაც როგორც „გაქვით“,
 ჩამოვდებით, გზა მოგვით.

„მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა ზ ე“



მოხსენებელი. აი, ამხანაგებო, როგორც ხედავთ შეშის დამზადებაზე ხელი შეგვიშალა საერთაშორისო მდგომარეობამ.

მუშა (მეორეს) შენ, ეი, გეყოფა ძილი, გაიღვიძე... ესლა მე დავიძინებ და როცა მოხსენებ, გაათავოს გამომალვიძე, თორემ ისე დალლილი ვარ, რომ ვერ გავიგებ მოხსენების გათავებას და აქ დავრჩები:

შუშის საპითხი და „საერთაშორისო მდგომარეობა“

ამხანაგებო, სანამ შევეხებოდეთ, დღის წესრიგის პირველ კითხვას:

შეშის შექმნის შესახებ.—

მინდა ამ საკითხს წავუძღვარო ორიოდე სიტყვით შესავალი.

ამხანაგებო, მართალია თქვენი საყვედური იმის შესახებ, რომ ჩვენ შეშის შესახებ, რომლის შესახებ ხშირად გვქონდა ლაპარაკი, ჯერ კიდევ ზღუდულის მიწურულში, საკითხი უნდა მოგვეგვარებია უფრო ადრე.

მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საერთაშორისო მდგომარეობა, მდგომარეობა, რომელიც, რასაკვირველია, არ შეიძლება ჩაითვალოს მშვიდობიან მდგომარეობად, ცხადია: ასეთი საერთაშორისო

მდგომარეობა, ვერ არის კარგი მდგომარეობა და იგი აწეწილ-დაწეწილია.

და როცა ასეთია საერთაშორისო მდგომარეობა, გასაკვირალი არ უნდა იყოს, რომ ჩვენი შეშის საკითხიც ვერ არის მოგვარებული, რაც აუცილებლად უნდა მიეწეროს ისევ იმავე აწეწილ საერთაშორისო მდგომარეობას, რომელსაც ყველგან და ყველა საკითხებზე თავისი გავლენა აქვს.

თქვენთვის საინტერესოა იცოდეთ: თუ როგორია საერთაშორისო მდგომარეობა.

თქვენ, ალბად, ვაიგებდით, რომ საერთაშორისო ომი დასრულდა და ვერსალის ზავი დიილა.

მიუხედავად ამისა ქვეყანა მაინც არ დამშვიდებულია.

ჩინეთის ამბები ისეა, აწეწილი, როგორც ზოგიერთი ჩვენი დაწესებულებების ბუჰალტერია. იქ პატრონი ძალს ვერ ცნობილობს. არა უკეთეს მდგომარეობაშია სხვა ქვეყნებიც. აზია და აფრიკა ლელავს; ისე როგორც, თუ გინახავთ, ალელეებულ ზღვა...

საფრანგეთში ფინანსური კრიზისია, ისე როგორც თქვენს ჯიბეში.

კონფერენციებზე ლაუბობა, ისე როგორც ჩვენს კრებებზე, საქმეს ვერ შევლის და საერთაშორისო მდგომარეობა, კიდევ უფრო და უფრო იწეწება, როგორც ქალის თმა, რომელსაც ქმარი მოუკვდა და თმს იწეწს.

აი, ამხანაგებო, ნათლად დავასუბათბატე, თქვენს წინაშე საერთაშორისო მდგომარეობა, რომელმაც

თქვენს წინაშე —კინო-სურათსავით ჩაიარა, თითქოს აი აქ ეკრანი ყოფილიყოს. ამის უნარი არა ყველას აქვს, მაგრამ მე ეს შევსძელი და შევესძელი იმით, რომ თქვენ სულგანაბული მისმენთ.

ებლა თქვენთვის, გვგონებ, აშკარაა და ხელისგულზე გაქვთ საერთაშორისო მდგომარეობა.

აი, სწორედ ეს მდგომარეობა არის, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე წინაღობებს გვიწევს და საშუალებას არ გვაძლევს თავის დროზე დავმზადოთ შეშა.

— ჩინეთის სამოქალაქო ომს, არ ვიცი, რა დაბრკოლება შეუძლია გავვიწიოს, რომ სულსა-ნატანებიდან შეშა მოვიტანოთ.

— შენ, ამხანაგო, ალბად გეძინა, როცა მე მოხსენებას ვაკეთებდი.

— რა გასაკვირია, რომ ასეთ მოხსენებებზე ყველას დაეძინოს.

— ამხანაგო, შენ ვერ გაგიგია, რომ დღევანდელი რთული ცხოვრება ისეა გადახლართულ-დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ პირდაპირ, საოცრებაა.

აი, წორეთ სულსა-ნატანები, თუ თქვენ კარგად დაუკვირდებით, (კარტა რომ მქონდეს აქ გაჩვენებდით) შეერთებულია ყველა ქვეყნებთან, მიუხედავთ იმისა, რომ მიწა ბურთივით მრგვალია. თქვენ შეგიძლიათ სულსა-ნატანებში ჩაჯდეთ მატარებელში, მოხვიდეთ თბილისში, თბილისიდან: ბაქოში, რასტოვში, მოსკოვში, გერმანიაში, ინგლისში, მერე გემებით იაპონიაში, ამერიკაში, და, ერთი სიტყვით, სადაც გინდათ იქ.

ეს თქვენთვის ძნელი წარმოსადგენია, რადგან თქვენ არ მოგივლიათ ქვეყანა, მაგრამ ჩემთვის, რომელსაც შემომივლია მთელი ქვეყნიერება, სად არ გყოფილვარ: ევლახში, კარაკლისში, ერევანში. ფოთში, და ბათომში, — ადვილი წარმოსადგენია.

აი, ამხანაგებო, ყველა ამ მიზეზების გამო, ჩვენ თავის დროზე ვერ დავმზადდეთ შეშა, მაგრამ არა უშავს... მაღლობა ღმერთს: თბილი დარებია და შეშის მოთხოვნილება არც ისე დიდია.

მომავალში, თუ საერთაშორისო, — მდგომარეობამ ხელი არ შეგვიშალა შეშას თავის დროზე შეეძენთ.

გაუმარჯოს შრომის ნაყოფიერებას.

კინეზაჩი.



— ბაბუა, შენ ხომ იცი: ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე ჩვენში არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ უნდა დარჩეს. ამიტომ, მე შენ გასწავლი წერასაც და კითხვასაც, თორემ თუ არ ისწავლე, მერე აღარ გაცოცხლებენ. ორი წელიწადი ვადა გაქვს. თუ ზარმაცობას არ გამოიჩენ, მოახსრებ...

— ნუ გეშინია, ჩემო ბიჭიკო, ვაღამდი დავაწრებ სიკვდილს...

ასე აგოვდა ღოგანტი

ასე ამბობდა ღოგანტი: რა დრო დაგვიდგა ესაო. დასწყევლოს, ვინც რომ ოკრიბას კომუნა დააწესაო.

კაცი ვიყავი იმ დროში, ფეხზე მიქიდა ქვეყანა. მითხარით—აბა, რად მსურდა: კავი, სახნისი და ყანა? კურსებში მქონდა აბანო, საკუთრად ჩემი ქონება; ცრემლებით მახრჩობს მე მისი ხსენება და მოვონება.

დატრიალობდნენ ბიჭები, მე კი მიყვარდა გორება; დრო გამოშვებით ჩრდილოში სლოკინი, ან და ზმორება.

ზამთარში, როცა ოკრიბას დღე აღვა მეტად ძნელია — (ცხედავდი: თოვლი დიდია, გამოსავალი ძნელია),

მაშინ ვგზავნიდი ვაგონებს დატვირთულს თივით, სიმინდით... იყო კი მაშინ ღოგანტი ნაქები დიდი სიმდიდრით.

მე ვატყავებდი გლეხობას, ფასს ერთი ასად ვიღებდი... ასე ვიღოდენ წლები, და მე დიდ ქონებას ვიძენდი.

დღეს რაღას ხედავს ღოგანტი? ცრემლი არ შრება თვალბუზე. ყველა მეტოქეთ გამიჩნდა, დაბნელდა ჩემი მთვარე, მზე.

აბანო გლეხკომს ჩაბარდა, გლეხებმა იწყეს ნაფარდი; მე კი სხვის ღლეტას ნაჩვევი — სილარიბეში ჩავვარდი.

ოკრიბას ირგვლივ მოედდა: ეხო და კოპოვერაცია. ჩამოქვეითდა ღოგანტის ნაქები სპეკულიაცია.

ვთქვი, რა დღეში ჩავვარდი, რა დრო დამიდგა ესაო... წყველა მას, ვინაც ოკრიბას კომუნა დააწესაო.

შიხლინსკი ზომბ.

„კვაჭი“-ს ბრალი

— უკაცრავით, დამივალეთ და მანქანაზე დამიბეჭდეთ ეს მოწმობა— მორიდებით მივმართე შემანქანე ქალს, რომელიც მანქანასთან იჯდა და რაღაც წიგნს კითხულობდა.

— მოითმინე, ამხანაგო— კვახედ მიპასუხა მან და თავიც არ წამოსწია.

რას ვიზამდი? გამჯობინე: „მოთმინებითა ჩემითა მომეხოვებია მოწმობა ჩემი“.

რასაც ვადასტურებ და ხელის ფათური ზღაპრებით ვადაიქცა.

სიფიქსი გაკაპასებული ბეჭდის დასმით.

გ ა მ გ ე:

საჩუქეთა მმართველი:

მე ვერ გამომერკვია, რას ვკითხულობდი.



ნეტავი როგორს მორჩება კითხვა?... კიდევ ბევრი უკლია.

— ცოტა არ იყოს, საჩქარო საქმე მაქვს— მორიდებით და კიდევ უფრო თავაზიანად მივმართე მეორეჯერ, როცა შევატყვე, რომ წიგნის კითხვას თავს არ ანებებდა და, თანაც, წასაკითხავი კიდევ ბევრი ჰქონდა.

რა უნდა მიქნა, ჩამოვჯექი იქავე სკამზე და დაუწყო ლოდინი; როგორც იქნა წიგნი გვერდზე გადასდო.

დასაბეჭდი ტექსტი გამომართვა და დაიწყო ბეჭედა, თანაც ცალი თვლით წიგნში იტყობდა და ისევ კითხვას განაგრძობს.

— აი, შემანქანეც ამას ჰქვია... არც კი უყურებს გადასაბეჭდ ქაღალდს, ისე ბეჭდავს.

ქაღალდი გადმოძევა.

გამგესთან ხელის მოსაწერად წავიღე. ჩვეულად ად არა მაქვს ასეთ დროს ქაღალდზე დაკვირვება, მაგრამ ესხლა, ჩემდა უნებურად, დაეაკვირდი და აი, რა წავიკითხე:

მ ო წ მ ო ბ ა

ექლევა ეხე კვატი მას თანდათან იზიდავდა და მეტხა და მეტხ უნის იჩენდა. ორივე ხელები მოხვია მას შინა, რომ ქალი ხელთ იგდო, გულში ჩაიკრა და ჩაიშხლართა,

რამდენჯერმე გადავიკითხე. თვლები არ მიტყუილებდენ— და გადავიხარხარე.

— ამხანაგო, ხელს ნუ გვიშლი-შემომიტია შემანქანე ქალმა, რომელიც ისევ განაგრძობდა რომანის კითხვას.

— უქაცრავად, მაგრამ თქვენ... მე მოწმობა გთხოვეთ და თქვენ კი რომანის ასლი დაგიბეჭდია— და გადავეცი ჩემი მოწმობა.

— უი, ჩემი სიკვდილი— გაიცა მან და ქაღალდი დაკუჭა— ეს სულ კვატი კვაპანტირადის ბრალია... ისეთი გამტაცია, რომ ყველაფერს დაგვიწყურებს— და დაიწყო ბეჭედა.

რამოდენიმეჯერ დახია, რადგან ხშირად „კვაჭი“ მინც წაყდებოდა მის თითებს ბოლოს, როგორც იქნა დაბეჭდა და მათხოვა:

— თუ ხათრი გაქვთ-ამ ამბავს სხვაგან ნუ იტყვით—

მეც შევპირდა არავის ვუთხრა, და გამიხელ მარტო შენ, ტარტაროზო; იმედია შენც საიდუმლოდ შეინახავ.*)

3. ოზოლი

*) ჩვენ კი გვჯონია, რომ ამ საქმის საიდუმლოდ შენახვა შეუძლებელია, რადგან თვითონ ის შემანქანე ქალი ფუნჯება ყველა თავის ამხანაგებს, თუ რა დაემართათ თქვენთან. ისე ჩვენ თქვენ თხოვნას ვასრულებთ და ვინახავთ თავისუფლად.

ჩემი პასუხი ჩემს*

დამბერდი, ავადმყოფი ვარ, არ ვარ რაც ვიყავ წინეთა; ჩემო მტერსო და ორგულსო, მოდით და გაიცინეთა.

იყო ღრო, როცა შინა ყმას ბატონიც ვერ მაგინებდა და „ზმუკი“-სთანა ბიჭები, ამა, ვით შემაშინებდა!

მიყვარდა: ლხინი, ქეიფი, კრივი და კარგი ცხენია, და აღნიშნული მიწისთვის ერთხელც არ ამიცდენია.

შემოქმედს ასსოვს ლევარსის: ყიყინი, შენაძახები;

უნახავს მისგან მოკლული კურდღლები, შველი, ტახები. იყო შემთხვევა, როდესაც დათვებზეც მინადირია;

მოწმედ ჩემი ხნის ხალხია, ცრუობა რაზედ მჭირია. ყურები დამყრუებია

დათვის ბრდღვინით და ბღაველით. „ზმუკო“, ალბათ შენ გაშინებს საბრალო ტურის კნავილი.

მითხარ—რაზე დაკვირდა, ცრუ ამბის გამოგონება? სილ იყო შენი სინდისი,

ან რას ამბობდა გონება? მოკლული კურდღლის ზღაპარი მოჰჭინე: ქვეყნებს და ტრებს,

— მაგრამ ამ ამბავს თვით ჩემი მტერიც კი არ დაიჯერებს. სიბერე ვის არ ეწვევა?

სიბერე ვის არ წაახდენს? გმირად მიტნობდენ, მაქებდენ და „სპალილო ლოლანს“ შეძახდენ.

მეჰქირან წლები, თან მიაქვს სიტურფე, ახალგაზრდობა;

დრომ სიბრალოლი არ იცის, დრომა არ იცის დანდობა. ერთ დღეს თვით „ზმუკი“-ს გაშლილ ბეჭ

დადგმის კეხი სიბერის და დაეკარგვის ხალისი თამაშისა და სიმღერის.

აჩიფჩიფდება საბრალოდ, ჭამა-სმაც დაუშვარდება და ყავარაგნი მაღალი იმასაც შეუყვარდება.

ხელში კანკალი შეუვა, გამოფიცევა ღონეა და ძნელად მოეჩვენება რაც დღეს აღვლი ჰგონია.

მაშინ აიღოს საყვირი, გახდეს დამკვრელი სტერიისა და შოიგონოს იგავი ლომის, კურდღლის და ვირისა.

*) იხ. № 8 (11) „ტარტაროზი“ „მეზანდირი“.

მინდა ვსთქვა: „თვის არ იციან, უფალო, რასაც შერებთან“; მაგრამ იცოდეთ—ძველ ლომსა ამოად ეჯიბრებთან.
 მე დამამცირეს, დამცინეს. მე შემაწუხეს, მატირეს და მომცხეს ჩირქი სიმბდალის კარგ მსროლელს, ძველ მონადირეს. გამოდით, დღესაც გიწინებთ ნადირებს ხმლებზე ანაგებს; აბერ გომის ტყე, აბერ მე, „ზმუქსა“ და მის ამხანაგებს, გიწვივს საერთო ბრძოლაში, თუ დამანება ხველამი, —და ვინც ამ ომში დამარცხდეს ის შეარცხვინოს ყველამი.

სპილო ლოლანი ს. შემოქმედი.

ჩემი პასუხი სპილო ლოლანს

სპილო ლოლანო, ვისმინე მე შენი საყვედურია. შენზე არ ვსწერდი იმ წერილს და მივირის: რად მემდურია?! ყოფილხარ (მოკორც გეტყობა) დამცველი გულა-სტივინისა... გლოდნია იგავ-არაკი: ლომის, კურდღლის და ვირისა, რომ წაგეითხა იგავი: მაიმუნსა და სარკვეზე, — მერწმუნე: არ მოხვდებოდით მაშინ შენ ჩემსა ანგესზე. რა ვუყოთ—ჰმონადირე“—შე თავისი თავი თუ ნახე... გჯეროდეს: სარკე არ სტყუის, ნამდვილი მოსჩანს შიგ ნახე. ახალგაზრდა ვარ, ჯანსაღი, ყოფილვარ: ომში, ბრძოლაში, — და ვფიქრობ: არ ჩამოვრჩე! სპილო ლოლანსა სროლაში... აღარ ვნადირობ ამჟამად, რადგანაც აღარ მჭირია: ჩვენში აწ აღარ არიან მხეცები და ნადირია. მე ის ამბავი ვისმინე, გავდევქვ შენაარსია; ნუ თუ სულერთი არ არის, —ბეტრება თუ ლევარსია?! არა, სპილო და ლოლანო, არა მაქვს გული ავი. მე თუ მოხუცსა დაგცინო, —მოგვიკვდეს ჩემი თვია. ლევარსზე მქონდა წერილი სულ დაწერილი ორია. აღარ მინდოდა გამეტყობ ამბავი და ისტორია, — მაგრამ სიჩუმე არ გარგა, შენში რალაცა გვიკა, — (ქათამი დანას თვით ექებს, ვშმაკი თუ შეეჩვია). და ამიტომაც თვის ვიდმ მისი ამბავთა აღწერა, რომ დაგარწმუნო იმაში რაცა თვით ესლა არ გჯერა. ყური დაუტყდ, —მიხვდები და იცნობ იმ „ჰმონადირე“—ეს— და აღარ იტყვი შემდეგი: „მე შემაწუხეს მატირეს“.

ლევარსი როხროხაპე

აქა ამბავი ლევარსის სანადიროდ წასვლისა და მის მიმარ დათვის ცოცხლად დაჭირისა

სოფელს ამშვენებს ღუქნები, მდინარე და ეკლესია. კვირა დილაა. სოფელენი მოსულან როგორც წესია, რათა აღიდონ, ილოცონ: ღმერთი და ქრისტე შესია. მოვიდა ერთი მოხუცი, ყველა მას შემოესია.

ეუბნებიან:—ლევარსი, გვიამბე რამე წარსული. ხარიტონ მღვდელი ჯერ არ სჩანს, ალბად სადმეა წასული. ნულარ აყოვნებ ლევარსი, ჩვენ მიგვედის გული და სული; გვიამბე რამე, ლევარსი, თუ გიყვარს შენი ასული—

ჯერ ჩაახველა ლევარსიმ, გაიბამწურა წვერია. დაიწყა:—„რასაც გვიამბობ სუყველა დასაჯერია... რომელი ერთი გვიამბოთ... რომლისა არის ჯერია... ჯერ ვიტყვი,—დათვი ხელითა თუ როგორ დამიჭერია.

თქვენც იცით, რომ: ნადირობის მე დიდი მაქვს სიყვარული. მაქვს: „ცენტრალკა“ და „ბერდანი“ (ცხრაას ხუთში მოპარული).

ზამთარია. მინდორ ველი თოვლით არის დაფარული... ნადირობა შეიძლება,—ამაშია სიხარული.

ერთხელ დილით ჩემს ეზოში მოხდა სწორედ ეს ამბავი რომ თოვლისგან გამეწმინდა მალა სახლის სახურავი, —ზედ ავედი,—და რას ვხედავ? ვნახე მე ეს სინახავი სახურავზე ჩაფლულია შველ-ირმები უამრავი.

გამოვიტოხე და მიამბეს:—დაგვედენა დათვი ჩენა. შევატყვეთ, რომ: არ შეეძლოთ გორებს ჩენი გადარჩენა. გადავლახეთ ბევრი კლდენი, შეგვხვდა გზაში დიდი რბენა, მაგრამ შენ აქ გვეგულოდი, გვიხაროდა აქეთიენა.

ესლა აქ და შენს ხელში ვართ; გინდ შეგვწვი და გინდ შეგვამე,— მაგრამ ვფიქრობთ: არ გექნება გულში ჩვენთვის ცული რამე. დალილი ვართ... რაც მოვრბივართ არის ასი დღე და ღამე; გვედრებთ: შეგვბრალე და წყლულები დაგვიამე“—

მე ვუთხარი: გამომყვიეთ და მაჩვენეთ დათვის კვალი. სიკვდილითა მოვხდე კაცი, გამიშავდეს ორნივ თვალი — თუ იგი არ დავიჭირო უვნებლათ და ცოცხალი, და თქვეთან არ მოვიყვანო—თქვენვე დასდით სამართალი.

ლურჯას ზურგზე წამოვასტი და მოკურცხე ჩქარა მთაში. ისე მიჰქრის ჩემი ლურჯა—გეგონებათ მეფის რაში. ცხენის ფეხთა თქარა-თქური ისმის ღმერთთან მალა ცაში, და გარბიან შემოლივით ვინც შემხვდება ყველა გზაში.

შველ მთაში... მიდამოა ფოთლებითა დაბურული... სიჩუმეა, თითქოს მთებსა ეპარება ძილის რული. სადღაც ისმის მწვანე კლდეზე როს რაკაკებს ნაკადული და იქავე ყვავილებში ჰგალობს შაშვი და ბულბული.

მიჰქრის ლურჯა... არღვევს ძალით თოვს მკერდამდი ამომწვადარსა. ვეუბნები: „არ მაქამო მე სირცხვილი შენს მხედარსა“. წინ მივდივართ, რადგან დათვი არა შეგვხდა გზაში არსად. ქიარბუქთა და არ ვაქცევთ ყურადღებას ასეთ დარსა.

წადადქი უცებ ყანას... ვეხდავ არის მწიფე ტარო.
 ვფიქრობ: ცხენი ამ ყანაში როგორ უნდა გავატარო?!
 ხმა მომესმა უცნაური, თითქოს ჰყვირის: მად ვინ ხარო;
 დაიკარგე, თუ არ გინდა, რომ სტოცხლე წაგამწარო.

რა ჩამესმა ყურში ეს ხმა, წამს გადმოვბტლი ცხენიდანა,
 შევაყენე თოფი ფეხზე, მოვიმარჯვე ხელში დანა,
 დავუყვირე: შენ ვინ მოგცა შესაქმელად სხვისი ყანა?
 დაიკარგე, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებ აქიდანა.

ეს შევსძახე და ყანაში ტყვიასავით გადავარდი.
 (მაშინ რაღა ვიქნებოდი, ეხლა რომ ვარ ასე მარდი.
 ჩემი მკლავი რკინა იყო და ლოყები ია-ვარდი)
 მწაღდა მტერთან შებრძოლება, არა მქონდა სხვა მე დარდი.

დავინახე: დათვს რომ ვეძებ, აგერ: ყანას ანადგურებს.
 გამძლარა და გლეხის ნაშრომს კიდევ აბდენს, არ იშურებს.
 მან, უზრდელმა არც შემხედა, ჩემსკენ უკან არ იყურებს.
 ჩემთვის ვაძბობ: დაიცადე, დაგჭრი დანით ორნივე ყურებს.

წავეპარე. უკანა ფეხს მინდა ხელი მოუჭირო,—
 მაგრამ ვფიქრობ: არ შეგშენის ეს, ლევიარსი, გმირთა გმირო.
 მტერს თავდასხმა უნდა ამცნო, ვაჟაკობით გააკვირო,
 დაეჯახო, დაამარცხო და შემდეგ კი აატირო...

და შევსძახე:—აბა, დათვო, გავისინჯოთ ჩვენი ღონე.
 გარეგნულად ზორბა სჩანხარ, საბრძოლველად მომეწონე.
 სოფელში ღოღს ვერ ვნახულობ, ტყეში კი შენ მოგიგონე...
 აბა, გამო, მეტიდავე, რომელი ვართ მეტის მქონე.



(აგერ მოდის ჩვენი მღვდელი)... რაღა ბეგრი გავაგრძლელო,
 —შევაჯექი ზურგზე ვით ცხენს, გავიტანე ჩემი ლელო...
 დათვი სოფლად მოვიყვანე, საქმე ვქენი სასაზელო—

 დაასრულა და ლევიარსის მიაძახეს: „ძველო... ძველო“

ზმუკი,

შარალა

ეს მუზა
 ოხერ-ტიალი
 რას გადმეკიდა
 შარალა?
 მიბრძანებს:
 — გინდა, თუ არა,
 უნდა დასწერო
 შარალა!

მოდე და
 ნუ შეასრულებთ
 ბრძანებას
 უკმენ მუზისა—
 არც მოშორდება
 წყეული
 კაცს, თუ ის
 თავში უზისა!

და ამიტომაც
 მე ვებდავ
 დაწერას
 ამა შარალის!
 — თუ მოიმახი
 გამოდგა?
 მშვილობით
 აწ და მარალის!

პირველ სამ ასოს
 წავგლეჯავ—
 აბა, რას,
 როგორ გგონიათ?
 — მას, რაც ჩვენ
 კიკლუტ ბუნებას
 საქმელათ
 მოუგონია!

დათესენ—
 ღერო აიყრის,
 ფოთლებს
 მოყვება ულვაში,
 და თანვე
 გლეხის ბარაქას
 ღერო
 გამოყოფს შუაში!

მწკრივად აწყვია
 მის ტანზე
 კბილების მსგავსი
 მარცვლები:
 — ზაფხულზე მწვანე,
 შემდეგ კი
 ყვითელი მოსავს
 საიღობი!

მას—დაცხვამდე
 რომ ჩქია
 ჩვენ ის გვკვირდება,
 თორემ—
 უმისოთ
 ფუჭი იქნება
 მუზის წალკოტში
 გორება!

სახელს ამ
 დალოცვილისას
 ჩვენ წინ წავეპრით სამ ასოს
 და მით
 შარალას დავიწყებთ
 აღარც თუ
 ვგზომ სამასხროს!

ორმაგი ზუკლალტერია

სხვა, უზრო მოხმარებულნი
ჩვენ არ გვინახავს მგზარნი:



ჯერ გორჯომის წლით გაბგერავს




შემდეგ ამღვრეულ მგზარით

შემდეგ—
 ამ წმინდა სამებას
 თუ—
 არ ჩაგვითავის ცოდვათა
 იგივე საგნის
 მთელ სახელს
 მიეზავეთ
 მოგძო კუდათა.
 დაბოლოვება
 მარადის
 აჟ ასო
 ორათ-ორია:
 — შეიდი გააჩქს,
 ორს ვერ მოგნახავთ?

ჰკუა—
 არც იგზომ შორია!
 ხო და, შორს
 არც საგანია,
 ჩვენთვის
 საჭირო საგანი:
 — ენა მას
 ლეზათ უგია,
 პირის თაღია—
 საბანი!
 იგი—
 არც იშეითია,
 არის—
 მრავლისგან მრავალი:

საინის
 ანუ ჰევისგან
 მუღამ
 პირისკენ მავალი!
 ნელ-ნელა გაწვდის ის
 ცხელ წვეწს,
 ნელ-ნელა—
 კლებულობს წვეწია:
 — საგანს პატარას
 ვერ მიხვდი
 და დიდ კაცს
 არც კი გრჩენია!
 აი, მის სახელს
 მოგწვევითათ
 ბოლოში სულ
 ორ ასოსა:
 — მივებათ პირველ
 შვიდ აჟოს—
 თუ შრომა
 დაგვიფასოსა!
 და გავვითავდა
 შარადა
 გათავდა
 ჩვენი შრომაცა:
 — და მოახერხა
 სხვა ვინმემ
 აქედან
 გამომძრომაცა.
 ეს ვინმე
 — დიდი ვინმეა,
 ლიდთა რისხვითა
 მსახველი:
 — მუშას, გლეხს
 იგი უხარის,
 მტრებს—
 აცხცხვებს სახელი!
 არ უყვარს
 — ბურჟუაზია!
 არცა სწამს
 — მღვდელი, ბერია!
 ჩანგაღზე აცმა
 ამ ხალხის
 ეს, მისთვის—
 ყველიერია!
 თუ
 მუშის მტრები უენიშნა—
 არ დააყოვნებს
 ხანასა
 და
 — თავის ჩანგლით დაუწყებს
 მათ, მტრული
 გოგრის ფხანასა!
 ყურმავილია და
 თვალციც
 არ სტოვებს
 ჭინჭველასა:
 — თავის განაჩენს
 უმზადებს
 დლითი-დღე
 ჩვენ მტრებს ყველასა!
 მუშკორი
 — მისი თვალია,
 გლეხკორი
 — მისი ყურია,
 ხოლო მიზანი:
 — მუშათა
 და
 გლეხთა სამსახურია!
 უჩარღია.



**ავადმყოფს წვალნი სწაშურიანი
ფერშალს „სესტრიცას“ ამბორი**

ტყიბულის მაღაროების საავადმყოფოში უმსგავსი საქმე ხდება. მუშკორ „მეტს ელოდეთ“-ის სიტყვით;

— „აღნიშნულ საავადმყოფოში მომვლელებათ მსახურებენ რამდენიმე ქალი. ერთი ამ ქალთაგანი, სახელად სონია, გაუთხოვარია და ცოლად უნდა გაყვეს ამავე საავადმყოფოში მოსამსახურე ფერშალს. ხშირია— როდესაც ისინი ერთსა და იმავე ჯერში მორიგობენ და იმის მაგივრად, რომ ავადმყოფს მიხედონ და მოუარონ, შემდეგ სურათს წააწყდებიან:— ავადმყოფი თხოვლობს მათგან დახმარებას და ისინი კი ერთმანეთს ეამბორებიან!“

ჩვენც ვეთანხმებით ამბ. მუშკორს, რომ:
— ავადყოფთან ჩვენ ფერშალს არ უნდა „ცერემონია“!
საქმე ის არის— სწყალობდეს მომვლელი ქალი სონია!
გულიც სონიას ეკუთვნის, გრძობაც და ორივე თვალისა— უმისით კირს წაუღია ავადმყოფი და „ბალნიცა“!
ის და სონია ამ ქვეყნათ მტრედევით ორათ-ორია,

და მუუდრო ბინა იმათი „ბალნიცის კარიდორია“
— ჩუ, ავადმყოფი ახველებს! რაო, წყალს ითხოვს მგონია? მერე „სესტრიცა“ რას შვრება, ნუ თუ არ გაუგონია?
საქმეც ისაა— გაიგო, მაგრამ შეუდგა ზმორება და— „ჯულიეტა ბალნიცის“ „რომეოს“ ეამბორება!

ვოთი

ტარტაროზ მუუუეო, სულო ცათამდი წმინდა, ამდენ სიწმინის შემდეგ დღეს გესაუბრო მიინდა. ამ ჩემს სამშობლო ქალაქს, ქალაქს პატარას, ვიწროს, კოხტა, პაწია, ლამაზს ხარით— ვინ არ იცნობს?! რა კარგი არის, ნეტა, ვინ არ დამტკბარა მისით? ის წარმტაცია მუდამ ვით ლამე, ისე დღისით. ლამე ხომ უფრო კიდევ არის წარმტაცა დიდი,

თუმც ვერ შეამჩნევ, რადგან გვაქვს ელექტრონის რიდი. ეხლა სულ სხვაა ფოთი შნო და ლაზათის მქონე. ტრამვაი აწი თბილისს არ ჩამოუტრეს ვგონებ. ამ ყბად აღებულს საწყალს. ძველად რომ იყო მშვიდი, და ავინებდა ყველა: პატარა, გინდა დიდი— ეხლა ვინ ეტყვის რამეს... ჰქრის როგორც ელექტრონის, ყველა ქუჩებში დადის ულიანდაგოდ მგონი.

ეს ძველი ამბავია... რა იქნებოდა ფოთი, ხანდახან არ ხდებოდა ცოტა ჩხუბი და შფოთი?! ეს უწყინარი კაცი... კაცი... რა კაცი მერე?! დასპრესო— როცა მითხრეს— პირჯვარი დაიწერე. არ ახსოვს ფოთში წყენა მისგან არავის ჯერე. ასეთი კაცის დაჭრა მოდი და დაიჯერე!! მითხრეს „ვეჩერში“ წუხელ იყო ემელი სხვებთან; ქალებთან სეირნობდა როგორც საკუთარ ღებთან. შეცდომით, მაგრამ მაინც ტყვია ბარძაყში მოხვდა, სხვა თუმც გადარჩა, მაგრამ თვითონ კინალამ მოკვდა. ლეენის ცრემლთა ფრქვევას ვერვინ უძლებდა ვერა... ჯერ არ გადაცვილილ კაცზე შავები შეიკერა.

ქაობის ამოშრობა ჯერ წარმატებით მიდის, გვაქვს შიში შეტაკების ბაყაყთა ჯართან დიდის. თუმც „ტროტუარზე“ უკვე დაიწყეს სეირნობა, (ხოგი თავს მიკრავს დინჯად, აქვთ მოქალაქის ცნობა), მაგრამ იქნება გვწვერვენ და უტბად დაგვიშინეს?! (ან იქნებ მხოლოდ ბაძვენ უსაქმო ქალიშვილებს?) აქ სამმართველოს უკვე ავლებენ ჩინურ კედლებს... ფოთში შეძენილ ტყლიპით ვერავინ დაგვაყვიდრებს.

ეხლა ნახვამდის, რადგან მსურს „მაშინისტიკის“ ნახვა, ო, იმას ენაცვალოს ჩვენს ადგილკომის თანხა. ო, რა კარგია, კარგი: გიშრის თვლებში ცქერა,— თუ რევიზია, ძმაო, უტბად არ დაეძგერა.
„ეშმაკის კერძი“.



შ უ რ უ ე - ბ უ რ უ ე



— Старые вещи... Старые вещи...

მ ო ძ ა ლ ა ძ ე მ (მოთინებიდან გამოსული) რად არ მეშვებიან და რას მომძახიან ეს ოჯახდაქცეულები? ამ წამთარში ამ ძველი და დახეული პალტოს მეტი არაფერი მაქვს, და ამის წაღებაც უნდათ?!

ბ ა თ ო მ ი

თუ სხვა კუთხეს დანავარდობ, შეიჯერე მთა და ბარი— რა გიშავს, რომ: ერთხელ ბათომს მოაყენო შენი ჯარი?!

იქნებ ფიქრობ—აქ არ იყოს შენი კბილის გასაქანი!? შენი ჩანგლის გასაქრავი, ანდა ზურგებ მოსაფხანნი?

დამერწმუნე: ტყვილი არის, რომ დაჰყარეს წინედ კორი: თითქოს ჩვენ აქ დაგველია გასახედნი, გასაჯორი.

ნუ გგონია—სხვას ჩამოვრჩეთ, დაგიტოვოთ მშრალი პირი; მრავალია შენი კერძი, ხალხი ზეთიგან განაწირი.

არც მგზავრობა დაგიჯდებო ძველებურზე უფრო ძვირი; მხოლოდ წესი დაიხსოვე, ბათუმისკენ თუ ჰქნა პირი:

ბილეთს ყიდვა აღარ უნდა; უბილეთოდ „ბეგომ... მარში“... თუ კანტროლი წამოგაწყედეს გაუძვრები სადმე კარში.

შიგ სადგურში ნუ ჩამოხვალ, რომ არ მოხედე გალიაში. საბარგოში ჩამოხტები, (იქვე არის, თუ გსურს, ხაში),

ეტლში ჯდომას ნუ იფიქრებ, არ იციან აქ „კანეცი“ არ ეყოფა შენი ფული თუ წინდაწინ არ მიეცი.

ლენინის ქუჩას ჩაჰყვივი, მიადგები ერთ ბიუროს; ნაწარეიშვილს იქ ნახავ, გაუფრთხილდი არ გიყვიროს.

იგი ყველგან ცნობილია, ეხმარება თურმე ყველას და „შეცდომით“ დაბეგვრილებს აძლევს, თურმე, ხსნას და შევლას.

ფინსახკომთან კავშირი აქვს: ჰყიდის სხვადასხვაგვარ მარკებს; არ იწუნებს ვერცხლის ფულუმს, არც ლირებსა და არც ფრანკებს.

მოასწენე მას მადლობა, არ აღროო დიდი ხანი; მოიგონე, რომ მავ ყმაწვილს— ზურგიც კი აქვს მოსაფხანი.

იქვე გვერდით თუ შეუხვევ ნახავ ჩვენსა დათა „მართალს“; თვითონ იცი, რასაც ეტყვი, დავეჯერდები შენს სამართალს.

ის მსახურობს მაღალ სახლში; (აღარ მახსოვს მისი გვარი) აქ იცნობენ მას სულყველა, კაცი არის მოსახმარი.

ც რ უ - მოწამე უკეთესი სხვა რომ იყოს არ გგონია; ისეთ ამბებს დაამოწმებს რაც მას არ გაუგონია.

კარგი იქნება თუ ჩანგალს ამოსდებ როგორც წესია და მოამკიებ ყველაფერს, რაც ღღემში დაუთესია.

კიდევ შეხვედები ასეთებს, ჩემი აქ წერა მეტია, გაჰხვეტე რკინის ჩანგალით რაც რომ აქ გასახვეტია.

* *

აქაური ამბებითა მსურს გავაგოსო გულა ერთხელ დათას რომ მიუძღვენ ნიკოსაც მოუნდა.

მინდა გრიშა ვინახულო; (კაცი არის დიდი) თუ ყიდულობს, თორემ არ აქვს გასაყილი.

უყვარს ქეიფობა და აერთოთ ნაგარდი; ფულუმის დახარჯვის არ სტანჯავს მას დარდი.

ამხანაგებად ჰყავს: პეტრე და ბიკტორა. თუმც სამივე ერთად ბევრჯერ გაიჯორა.

აქ სხვებიც არიან მათზე უკეთესი: რითი ჩამორჩება მათ ჩვენი ალექსი?!

ერთს ცოლს არა კმარობს, უნდა მაინც ორი (და ამიტომც ხშირად აქვებს მას მუშკორი).

მაგრამ არა ესმის მას ასეთი ქების, რადგან კაცი არის იგი თავის ნების.

მხოლოდ ტარტაროზის თუ მოხვედბა კეტი— იქნებ მაშინ მაინც მოიხაროს ქედი.

ბლიკვი.



„ისე“



შაბათს

— ისე გაგალამაზებთ, რომ თქვენი ცოლი თქვენი ცქერით ვერ ძღვება

„ასე“



ორშაბათს

— ვაიშე, ეს რა უბედურებაა? ეს რა მუწუშებია სახეზე? შენს ოჯახს დააქცევს ღმერთი... ისე გაგილამაზდა ცხვირ-პირი, როგორც შენ მე გამალამაზე.

საზოგადოებრივი „სულე“

სხდომა იხსნება სადღურ წაღვერის ყოფილი უფროსი კელენჯერიძის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარე: — ამხანაგებო, ჩვენი კოების დღიური წესრიგია:

ჩივი მუშაობის ორგანიზაციულად ჩამოყალიბება,

რა სახელი ეწოდოს ჩვენს ორგანიზაციას?

შავი დღის „სა“

საწვერო გადასახადი და სხ.

პირველ საკითხზე მოხსენებას გაეკეთებ მე.

ან ჩავებო! ამ ბოლო ხანებში ჩვენი ამხანაგი ი დიდ ენერჯის იჩენენ

ღმწიფო ფულის გაფლანგვაში.

მათალია, მუშაობა გაცხოველებით მიმდინარეობს, მაგრამ ეს არ

კარა; საჭიროა ამ მუშაობას ორგანიზაციული სახე ჰქონდეს. ჩვენ

ამხანაგებს აძლევენ პასუხისმგებლობაში, მათ არ ჰყავთ დამხმარე ძალა. მათალია

საჯელი ძალიან მცირეა, მაგრამ მანც მომუშავეს გული უტყდება

სწორად ძალა უნებურათ სცილდება ჩვენ რიგებს. საჭიროა

ორგანიზაციის ჩამოყალიბება — ამ კრებაზე უნდა იქნას აუცილებლათ არჩეული ქვეკომისიები, რომლებიც უზემდღვანელებენ პროვინციებში მოკალათებულ ამხანაგებს. როგორც ხმა გავრცელ-

და ხელისუფლებას სასტიკი სასჯელი შემოუღია ჩვენი ამხანაგი.

ბის საწინააღმდეგოთ. ჩვენც გვეკიდება მეტი შეკავშირება და წინდახედულობა. საჭიროა შევემუდროვოთ რიგები და გავარღვაოთ ჩვენი საქმიანობა...

მე დავთავებ. შეკითხვა ხომ არააგის გაქვს?

დათიკო: — რა მოვისაჯეს თქვენ 3.600 მანეთის გაფლანგვისათვის?

თავმჯდომარე: — ორი წლით დასასვენებელ სახლში ჯდომა, ისიც ანისტიტებმა მიქინჩ-მოქინჩეს და მიაყენეს ხირხზე. იმასაც ნოემბრის ამისტიამ მოუწვეს და ალბათ მალე მომელის ძარღვების დაქიმვა ახალი „მუშაობისათვის“.

მიხა: — შეიძინეთ იმ ფულით რამე?

თავმჯდომარე: — წალვერში ორსართულიანი სახლი, მეტი არაფერი!

დათიკო: — ხომ ვერ ჩამოგართმევენ?

თავმჯდომარე: — შემრჩა ვითარცა ხახვი!

მიხა: — ექნება თუ არა ჩვენ ორგანიზაციის პოლიტიკური ხასიათი?

თავმჯდომარე: — იმდენათ, რამდენათაც მთავრობის პოლიტიკა ხელს გვიშლის და ჩვენს „პოლიტიკას“



მიხა: — შეიძინეთ იმ ფულით რამე? თავმჯდომარე: — წალვერში ორ სართულიანი სახლი, მეტი არაფერი!

განადგურებით ემუქრება.
შოთა: — კი, მაგრამ რა მიზანი აქვს საბოლოოდ ჩვენს ორგანიზაციას? **თავმჯდომარე:** — დარბევა და ეკონომიურად განადგურება არსებულ ხელისუფლების. ამხანაგებო! შეკითხვები, როგორც სჩანს მეტი აღარ არის. ამისათვის გადავდივარ მეო-

როგორც მესმის დიდი საშიშროება მოვევლის—ნუ იქნება ნაწილობრივ და წვრილმანად ფულის გავლანგვა. სა. ი ათასზე ნაკლები არ შედის „სულმე“-ს ორგანიზაციის ფუნქციებში. ქეიფობა და ქალღმობის დაპეგობრება ამხელს ყოველივე საიდუმლოებას, ნუ ამხატლებით. ყოველი ჩვენი ნა-

თუ წააღმა წაიღო, რაღა საგტრედიოში მიჰქონდა!

— სამტრედიის სადგურის უფროსმა მიხეილ მდივანს—ასე იწყებს თავის წერილს მუშკორი „არ მეთქვა“—არ შეუძლია მუშებს და ნაკლებ მიმითითებულ რომელიმე ამხანაგს დინჯათ და დამშვიდებით პასუხი გასცეს. სამტრედიის რკინის გზის ზუსტობები შუადგომლობენ ტარტაროზის წინაშე, რათა მან გამოუწეროს მოქალაქე მჯიგას წამალი, რომელიც ნერვებს ამშვიდებს და ხმას ამდაბლებს“.



საზოგადოებამ იმღერა (ბუკიას) ჰიანი.

რე საკითხზე. ამხანაგებო! ყველა ორგანიზაციას აქვს თავისი სახე და სახელწოდება. ამიტომ, თუ თქვენთვის მისაღები იქნება—ჩვენ ორგანიზაციას „სულ მე“-ს სახელის წოდება მივსცეთ, რაც ნიშნავს „საბჭოთა უფლების მიენე ელემენტებს“. თუ გახსოვთ, ამხანაგობა, ამ უკანასკნელი გამოთქმით გაუმასპინძლდა ხელისუფლებას, ჩვენ „სახელოვან მოღვაწეობას“. თანახმა ხართ, თუ არა, ამხანაგებო, ერქვას ჩვენ საზოგადოებას „სულ მე“?

ყველა: ერქვას, ერქვას!

თავმჯდომარე: ამხანაგებო! ჩვენი ორგანიზაციის წევრებისათვის სავალდებულო უნდა გახდეს, რომ ყოველ მითვისებულ თანხიდან 20 პროცენტია. ამ თანხით დაარსდება „შავი ღღის კასა“, რომლითაც საშუალება ექნებათ სამსახურიდან გაძევებულმა ამხანაგებმა ისარგებლონ. აგრეთვე ამხანაგებს, რომლებიც ჩავარდებიან პასუხისმგებში, გასამართლების დროს კასა უნდა დაუქირაოს დამცველი. ამხანაგებო, მე მგონია მისაღები იქნება, რომ მე უხელმძღვანელო ამ კასას.

ბიჯი საჭირო დაკვირვებით გადავდგათ. უნდა დავგზავნოს გასამხანაგებელი წერილები სატელეგრაფში, ქუთაისის ციხეში: **ს. ბეთანოვს**. 1-ს წურბელას, რომელმაც 2,400 მითვისა.

I ფოფოლ ფაქტიურ კანტროლიოს ლ. ჩხეიძეს, რომელიც 2,200 მანეთის მსხვერპლი გახდა. ხაშურის „არტელჩიკს“ ნ. დემიანოვს, რომელმაც 12 ათასს დაუკრა თავი. შემომამქვს რეზოლიუციას: „ვინაიდან საბჭ. ხელისუფლებამ გადასწყვიტა უსასტიკესი ძალით ებრძოლოს „სულმე“-ს ორგანიზაციას და მოვიღის მას განადგურება, ამისათვის ჩვენ „სულმე“-ს ორგანიზაციაში შემავალი წევრები მოგიწოდებთ ყველა არამზადებს, მუქთა-მკამლგებს და საბჭოთა უფლების მაენე ელემენტებს-შემოკრიბოთ ჩვენე ვარშემო და გაორკმცებულა ენერგიით ვებრძოლოთ ხელისუფლების სალოაროებს!

ჩვენი ლოზუნგია: ძირს თავმომაბეზრებელი შრომა, ძირს სახელმწიფო ნაყოფიერება, გაუმარჯოს ერთეულის ფუფუნებას!

რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული, რის შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად იმღერა „ბუკიას“ ჰიმნი.

კოსტაილი



ბევრმა უფროსმა იცის, და მათ შორის სამტრედიის სადგურის უფროსმაც, რომ:

— სადაც დიდი ხმა ამოვა, იქ პატარა ვერ არ ამოტყვია!
 ესეუ არ იყოს—არ გვესმის სამტრედიელ მუშკორთა საყვდურები:
 — დიდი კაცი, რა დიდი კაცო, თუ ხმა დაიდაბლა? სხვა რომ არფერი—ჯარიერა რით აიმაღლოს!

ასეთ უფროსზე იტყვიან:
 — ყბად აღებულნი, წყალ-წალე-ბულიო!
 ვწუხვართ, რომ მოქ. მღვდელს წვაოს წაუღია და... სამტრედიის სადგურზე მიუჭანია!



შენაკო მსხვერპლი

სოფ. №-ში (ოხურგეთი) კომკავშირელმა კორწილი გადაიხადა. მყარბად თავისი მზანაგები მოიბატონა ბათონიდან. მეორე დღეს. თანახმად გურიაში ძველად არსებულ ჩვეულებისა, მყარებმა ასტეხეს სროლა, რომელმაც იმსხვერპლა მ სანძევის მკვე ძროხა და ქათმები.

ყ-ი.



შენ მსხვერპლი გახდი კომკავშირელის, შენ მისმა ტყვიამ მოკლა ჯერ ადრე. მაკე იყავი, ვერ გაქმეცი „მუცლის მოწყვეტას“ შენ დაეხატრე.

ეტყობათ ბიჭებს: გამოდგებიან ბრძოლისა ველზე მტერთან ბრძოლაში, რადგან არა ჰყავთ ჯერ იმათ ტოლი მაკე ძროხაზე ჩიხში სროლაში.

სიზმრის ახსნა

ჭიათურისათვის

აზს. ტარტაროზო, თქვენ იცით, რომ ამ ბოლო დროს ჭიათურაში მუშაობა მეტად გაფართოვდა. შავი-ჭვა მეტად ძიმევა,—და, ამიტომაც მუშები ხშირად იღლებიან, ხოლო დაღლილობა კი იწვევს ძილს; ძილი კი—სიზმარს.

საჭიროა სიზმრების ახსნა,—და ამიტომოგაწოდებთ ზოგიერთი სიზმრების ახსნა, რომლებითაც ისარგებლებენ აქაური თქვენი მკითხველები.

1. მუშკოპის მესამე მალაზიაში შეხვიდე და ნოქარი სევასტი კილიძე ნახო ცოცხით ხელში—ცუდია: ცოცხი თავში მოგხვდება.

2. ამროსი ჩინჩალაძე (ყოფ. ლღველი) ნახო სიზმარში, რომ იგი „რეობადეს“ სამიციტროში სლფრაზე შემდგარი—ცუდია: ვინმე მოგატყულებს.

3. სესია ლევაძე ნახო ინი თვე-ციკლი—კარგია: ახალ მუშებს მიიღებენ მის ქარხანაში.

4. ძმ. ვარაზაშვილები ნახო სიზ-

მარში, რომ იგინი მუშებს სადილს უმართავდნენ—ცუდია: იმათგან ჯამაგირს სამი თვის განმავლობაში ვერ მიიღებ და როცა მიიღებ ბოლოს, შეიძლება, მთელი ჯამაგირი სადილში გამოგიქვითონ.

5. გედევან გაფრინდაშვილი ნახო, რომ ქვის მზიდვე მუშებს ეჩხუბებოდეს—კარგი ნიშანია: ზურგის მასაჟს გავიკეთებს და ამით საავადმყოფოში წასვლას აცდები.

6. კიპოთე ვაშაძე ნახო—ცუდია: ვიღაც დედას შემოგიკურთხებს.

7. ალექსანდრე კეკელიძე ნახო ხელში „საბუთებით“—ცუდია: რაიმე მახინჯიციებით მღვიმელ გლეხებს ადგილებს წაართმევს, ხოლო თვითონ მას გლეხები თავს გაუტეხენ.

8. „მალაროს მუშა“ ნახო—ცუდია: ტარტაროზის ჩანგალს ვერ აცდები.

მალაროს მუშა.

„გლახკოვი“ ლიდი-ჯიხაიში

ღმერთმა დალოცოს ის წამი, რა წამსაც განდა გლახკოვი. კერძო ვაჭრებს და მოხელეს გამოუტყადა მან ომი.

„ასტყდა ზარბაზნის“ გრილი, შეიქნა ბრძოლა მწარია; კერძო პირების დავთარი სულერთიანად არია.

სათავეს უდგას მის მიტო და იოსები ჩვენია... პირველად ისე დაჰქროდენ ვითარცა შევარდენია.

სახარაზოც კი გაგვისხნეს, წონით გვაწვდიდენ წაღებსა. გირვანქა: ოთხი მანეთი. ვინ აღარ გაასაღებსა?!

გულთ ჩაგვესახა იმედი. კავშირი იშვა გლეხისა. (კერძო ვაჭრების, ჩარჩების თავზარდამცემი მეხისა).

მოჰქონდათ ბევრი ტყავები, ათასნაირი ფერია; ფერადფერადი „იუხტი“ (მგონი წითელიც ერია).

ექვსი თუმანი მოხელეს. (ეს თვეში მშვენიერია) ჩვენს დოსტაქარსა ნუსხაში ამდენიც არ უყვრია.

ერთ დღეს უეცრად დაეცა მათ რევიზია მალთა. გაჰკრა-გამოჰკრა ჩოტუხედა, გამოიჩნდა მეტი ვალია.

შემოსავალი სადღა? ამდენი გასავალი! იოსები კი ჩურჩულებენ: „ეს ნიციფორეს ბრალია“.

ილიკოს სახელოსნოზედ მაგრად უჭირავს თვალთა; რადგანაც მოწონავესა მართებს საქონლის ვალია.

ნიციფორესა დაადგეს სწორად შეიდასი შრავალი... ასე, ამგვარად გლახკოვმა უდროოდ სული დალია.

მხოლოდ სახელი: გლახკოვი ჯერ არ წაშლილა სრულად; ილიკოსაგან ღებულობს თვეში ხუთ მანეთს ფულადა.

ასე დასრულდა ჯიხაიშს ჩვენი გლახკოვის მისია... თუ ხელმძღვანელი „ჩიქო“-ა იქ ყველაფერი მისია.

ბაბაიკა.

უკლასკლები-წყალ წასაღები

უმეობა არის, წიგნები არაა!

ჩვენ გვეგონა ხალხის გასანეთარებლად სამკითხველო იყო საჭირო, ხოლო სამკითხველოში წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, თურმე ვცდებოდით; ხალხის გასანეთარებლად სამკითხველო ყოფილა საჭირო, ხოლო სამკითხველოსათვის მარტო უნებობა. და რა ნაირად შეიძლებოდა ჩვენი შეცდომა გაგვეგო, რომ მოლითის თემის სოფ. ფონადან გლეხკორ კოლია ილმელს არ მოეწერა:

„1923 წლიდან გვაქვს სამკითხველო. სამკითხველოს ხალხი ბევრი ეტანება, მაგრამ დაკმაყოფილება ძნელი ხდება:—გვაქვს ცოტათუნნი მოძველებული წიგნები. ჟურნალ-გაზეთები გამოწერილი გვექონდა, მაგრამ ფულის გადახდა ვეღარ მოვახერხეთ და შეგვიწყვიტეს“.

არსებობს სამკითხველო. ხალხი ბევრი ეტანება (აღბათ უნებობის დათვლიერება თუ საინტერესებო?) ხოლო ჟურნალ-გაზეთები არაა! კიდევ იტყვიან, რომ შორაპნის სამაზრო პოლიტიკანს სოფ. ფონაში „ფონში“ გასვლა არ შეეძლოს!?

წიგნები არის უმეობა არა!

გორის მაზრის სოფ. ქვემო გომში სულ სხვა გეზია აღებული ხალხის გასათვითცნობიერებლათ. გლეხკორი თათარაშვილის სიტყვით:

„საშეფო კომისიამ სოფელს მოუტანა რამდენიმე წიგნი და გამოუწერა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ სოფელს არ მოეპოვება სამკითხველოსათვის უნებობა; ამის გამო წიგნები და ჟურნალ-გაზეთები უნაყოფოთ აწყვეია დაკეტულში“.

რა საჭიროა წიგნი და ჟურნალ-გაზეთები, თუ დაკეტულში არ დააწყვეს? დაკეტულში ჟურნალ-გაზეთები არც ხმას ამოიღებენ და არც საშეფო კომისიის შეუშლიან ხელს—ჩუმად და უსიტყვო განაგრძოს თავისი „მადლიანი მოღვაწეობა“ უფიცი გლეხობის გასათვითცნობიერებლათ!

ამ ორივეა—ორ ფეხით კოჭლი!

სამკითხველოს მხრივ ისევ ბანძაში ყოფილა „იდეალურათ“ დაყენებული საქმე. ჩვენი კორესპონდენტი კირ. ფანცულაია ასე ასწერს ბანძის სამკითხველოს მდგომარეობას:

„სამკითხველოში თაროებზე თითო-ორი წიგნი თუ შეგხვდებათ, ისიც ძველი და უშინაარსო, უფრო კი „სამლო რჯულის“ წიგნები. ასეთი წიგნები რა სარგებლობას მოუტანს გლეხობას“.

ჩვენ გვეგონა როცა ამხ. ფანცულაია სწერს, რომ სამკითხველოში მარტო „სამლო რჯულის“ წიგნები აწყვეილა, მაგრამ ვერ ვეთანხმებით მას—თითქოს ასეთ წიგნებს არაფერი სარგებლობის მოტანა შეეძლოს. როგორ არა:—აი, თუნდა გლეხები წაიკითხავენ „სამლო რჯულში“, რომ ღმერთმა აღამაინებინა თიხიდან გააკეთა, გაუკეთა თიხის თავი და ჩაბერა სული. რაკი ამას წაიკითხავენ, გლეხები იმასაც მიხვდებიან, რომ ღმერთმა

ამ გვირად გაჩენილ ხალხს ბანძის სამკითხველოს გამგეობაში მისცა ბინა-ადგილი!

გლმეხკომს ართმევს, მუჭარს აძლევს!

სოფ. რუისში არსენა ოძელაშვილზე სულ სხვა ვარიანტის ლექსი აღმოაჩინეს:—„გლმეხკომს ართმევს, ვაჭარს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა“!

ამიტომ, რომ ამ სოფელში „სოციალისტური მშენებლობა ვაცხოველებული მიემართება... კოოპერატორთა გოგრიდან ვაჭარს ჯიბისკენ.

ანხ. დ. რუისელი გვწერს:

„გლმეხკომმა მოითავებლა და გახსნა წითელი სასადილო. გლმეხკომმა დიდხანს ვერ უპატრონა მას და გადასცა კოოპერატივს. თავის მხრივ კოოპერატივმა წარმოკავშირს; წარმოკავშირმა ცოტა ხანს აჯახირა და შემდეგ იჯარით გადასცა კერძო ვაჭარს.

ეს ვაჭარი დაეპატრონა თუ არა ამ სასადილოს, სამიკიტნოდ გადააქვია“.

გლმეხკომმა გახსნა, კოოპერატივმა გადაიბარა, შემდეგ წარმოკავშირს გადაიბარა, წარმოკავშირმა ვაჭარზე გადაიბარა, ვაჭარმა სასადილოში სამიკიტნო გახსნა! მერე რა არის აქ საკვირველი? ვაჭარი სასადილოში სამიკიტნოს გახსნიდა, არა, ნამა, უტყონდა რუისის კოოპერატორებს სასადილოში უნივერსიტეტს გაუხსნიდა!?

სუფსის აღფენავლობა!

სუფსაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს რადიო-მშენებლობა.

ვ. მ-ძე იუწყება:-

„სუფსაში აიგო ზოგიერთი ამხანაგების თაონობით რადიო სადგური. საუფური მზადაა, მხოლოდ რადიო-აპარატი აკლია, რომელიც 400 მან. ღირს“ რადიო სადგური ხომ არის? აბა რა თით-აპარატი რაღა ჯანდაბათაა საჭირო; დაწმუნებით ამბობენ, რომ ხმას ცარიელი კედლებიც გამოსცემს, თუ ზედმეტათ ითარსნა ვინმე და თავი კედელს მიახალა!

სულ ძილი, ძილი.....

აბაშელ კორესპონდენტ ჟესარადას“ გონია თითქო საათებიც სწორად უნდა მუშაობდენ და ამიტომ გვწერს:

„სადგურ აბაშაში ოთხი კედლის საათია, მაგრამ სულ სხვა და სხვა დროს უჩვენებენ. სადგურის მორიგეები დროს ყოველთვის მგზავრების საშუალებით იგებენ. ჩვენ ვერ გავიგვია ამ საათების დანიშნულება“

ამხანაგო ჟესარადა,“ მერე რა არას აქ გასაკვირი? უწინ იტყოდენ:—ცხრა ძიძას ბავში კოჭლი გამაუფიდაო. ახლა ამბობენ:—ოთხ საათს ერთი მიძინარე მორიგე ყავსო, ბოლოს და ბოლოს მგზავრები რიდასთვის არსებობენ თუ მორიგეს არ ვააღვიძებენ? საათებსაც არ ეკრძალება უსწორ-მასწორით იარონ, როცა მორიგეს სწორეთ საქმის დროს სძინავს!

როს ეღირსება მას გაღვიძება?

დიდი-ჯიხანიშიდან გვწერენ: —



საკულტურო კომისიის
ულადდელათ, ტკბილათ სძინავს...
დაკისრებულ საქმისათვის
არ იწუხებს არაფერ თავს!

სამიკიტნოს აქ ბევრს ნახავ
აქეთ იქით დარაზმულებს,
სადაც ბევრი — „ოცის“ შემდეგ
მთლად, რომ სტოვებს თავის ფულებს.

სამკითხველოს — ჩრდილოეთით
რომ სდვას სახლი გძელი, დიდი —
იქ მებუთე მოგარძო ოთახს
ერთი კარკათ დააკვირდი —
და თუ კიდე კამათლების
ჩხრიალს მოკრა შენ იქ ყური —
იქ მყოფთათვის არ დაზოგო
ტარტაროზო, სამსახურა!

პასუხი ცირას:

ცირა,
ჩვენ,
თანახმად თქვენი თხოვნის —
გავსწევთ
შემდეგ სამსახურსა:
— მიინარ თქვენს
ქულტკომისიას
აუგრეხავთ
მაგრათ ყურსა!
და თუ
მინც არ უშველა
მით ძილს
ჩვენმა სამსახურმა —
გიტყვით:
— ორფენს არ სცოდნია
განათლების
რია ხურმა!

ტარტაროზი.

აზვადმყოფი საავადმყოფო

თბილისის რკინის-გზის საავადმყოფოზე მუშაობი
„ქვემო-ბნელი“ გვწერს: —
“საავადმყოფო ჯერ არ თბება, ისე ცივა,
რომ თითო საბანი არ ყოფნის ავადმყოფს; არც ზე-
დმეტი იშოვება.

არ არის ჩუსტების საქმაო რაოდენობა. 40
კაცზე 20 ჩუსტი მოდის, ავერ ხუთი დღე იქნება სა-
ავადმყოფოში არ მუშაობს საათები, ავადმყოფები-
სათვის კი, რომელიც წამალს დროს მიხედვით სვა-
მენ, საათი აუცილებელია!”

ამხანაგო ქვემო-ბნელი! საავადმყოფო რის საავად-
მყოფოა, თუ იქ გათბობის საქმე არ მოიკოვლებს და ჩუ-
სტების საქმეც დასწრებულნი არაა?! გასაკვირვადი არც
ისაა, რომ საათები არ მუშაობენ ხომ იცით: ზოგიერთი
სენი გადამღებია და ალბათ საათებსაც ადმინისტრაციის
სიზარმაცე გადასაღებია!

ქოკოპრატინი სამხარაძის სანხარია:

— „ჯერ თვით და თავი მერე კოპერატივო!
ეს ანდაზა არც ერთ ვანშაშა და სამხარე არ დავიწყებ-
ბია შორაპნის მაზრის მერევის თემპოლმასკომის თავმჯდო-
მარე აბესალომ სამხარაძეს, როკოლმაც გლენკორი „ჩი-
ტი“-ს თემით ხსენებული თემის სოფ. უსახელოში: —

„კოპერატიულ საფაქროს დისარქიელათ გლე-
ხებისაგან მოავროვა სიმინდი და ლობიო, რომელიც
საპაიო თანხის მაგიერათ უნდა შეეტანა კოპერა-
ტივში, მაგრამ სამხარაძემ გლენების ნაოფლარი
ზოგი მეგობრებს დაურიგა და ზოგიერთაც მთელი
წლის განმავლობაში თვითონ ირჩინა თავი!“

ლობიო და სიმინდი საქმელად არსებობს, ხოლო
იმის მიხედვით-რომ ასრულდა ბარაქის ზედმეტი სატრა-
ნსპორტო ხარჯები არ დასტებოდა შორეულ კოპერა-
ტივში გადაჯანუნი, სამხარაძემ იგი უახლოეს პუნქტში-
თავის სტომეკში გადააჯანა.

ხელმოკერილი ყოფილა სამხარაძე და თუ მად
აქვს გაშლილი-რა მისი ბრალთა: თვითონ ლობიომ და
სიმინდმა რათ შეაქმვედეს თავი? ამოელოთ ხმა და მის
შორაპნის სამაზრო აღმასკომიც გაიგონებდა!

თხა და გიგო

მუშკორი „იგინიშვილი“ ძალიან სწუხს, რომ:

„სურამის და ხაშურის ზოგიერთმა მცხოვრებმა
გამოიწერეს პატარა რადიო-მიმღები აპარატი, რო-
მელიც დღემდე უქმად უწყევია სახლში. ზოგიერთ-
ნი ძალიან დაინტერესებულნი არიან ასეთი აპარა-
ტების შეძენით, მაგრამ არ იციან მოხმარება.“

ფრად ავტორიტეტთან წყაროებიდან (როგორც
მაგალითად გოგებაშვილის „დედა-ენა“) გვაუწყებენ,
რომ, როცა გიგოს წიგნზე ჩამოძინა და თავი ჩამოქინდ-
რა, მას თხა დაეგერა და სერიოზულად დააზიანა. რო-
დესაც გიგომ მიზეზი იკითხა, ვადიამ უთხრა:

— შვილო, ჯერ კითხვას ისწავლიდი და მერე
წიგნს შეიძენდი!

— შინჯონ, იქნება სურამ-ხაშურის „რადიო-აპარტი-
კებსაც“ ქეუში დაუჯდეთ ცხონებული ვადიას რჩევა.

კაცი-გავიკაცებულნი

მუშკორი „ხვადამუნელი“ ძალიან აუღელვებია
შემდეგ გარემოებსა: —

„ქიათურაში პერსენაკის ქარხანაში მუშების მე-
თაურად დაინიშნა ვინმე პატეიშვილი, რომელიც
უწინ უბრალო მუშა იყო, ახლა კი პატეიშვილი
გადიდდაცა და უდიერათ, უადამიანოთ ეპყრობა
მუშებს, რის გამო ბევრი მუშა იძულებულია სამუ-
შაო მიატოვოს!“


ადამიანის წარმოშობისა და გადაჯიშების ისტო-
რიის, რომ გაეცნა, ამოვიკითხეთ:

— გადაჯიშების დროს ორფენი ემგავსების ოთხ-

რამეთუ არ იცინან, რასა უმკვებიან


„სოფლად კერძო ვაჭრებთან საქონელი უფრო იშოვება, ვიდრე კოლპერატრებში და გლეხკომების სავაჭროებში. და ეს იმიტომ, რომ გლეხკომები თავის ფირმას ჰყიდიან კერძო ვაჭრებზე“

(გაზეთებიდან).



მაჰარბი. ჩვენ რად არ ვქნათ საქმე კარგი, — როცა ასე ყველგან ხდება?!
გლმხმომი. გამომართავით... არვინ ხელაგს... ანდა, მინც, ვინ მიხიობა!?

მიდის, მიაქვს ზევით აზის. (ასე ჰქონდა ჩვეულება).
ზურგზე მალე გადმოჯდომა, თუ არ მისის შიგომბა



რა ვქნა, ძმებო, ტრესტ-სინდიკატს ალარა აქვს საქონელი... ამბობენ, რომ: მალე მოვა თბილელი და ფანელი.

მომავონდა მე ძველი დრო... დამაფიწყდა ჩხუბი, ომი... საქონელი კი მექვება თუ კი მწყალობს მე გლეხკომი.

ფებს, სიტყვა გარკვეული არ აქვს, ხოლო ხმა მაღალია, ყურები ეზრდება, მაგრამ არაფერს ისმენს და ასეთ მდგომარეობაში მყოფზე იტყვიან:

— არა გადიდვაცდების, არამედ გავირკაცდების ყრმა იგიო!

კინალარება ხომავა? გასათვითცნობი-რებლად მსეც ყმარა

აბა, ვინ იცის რატომ არსებობენ ქალთა წრეები? იქნებ გგონიათ ქალთა გასათვითცნობიერებლათ? ჩვენც მაგრე ფიქრობდით; მაგრამ შორაპნის მაგალითმა სულ სხვა ფიქრები აღძრა ჩვენში.

აი, რას წერს ვაზ. „მუშა“-ს მუშკორი „ორიანი“: „სად. შორაპანში არსებობს ქალთა წრე. საუბედურათ ამ წრეში გამეფებულია კინკლაობა: აყარის დაცული ქალთა ინტერესები; პირიქით, ვისაც რომელიმე ქალის ინტერესი აქვს, მოვა ქალთა წრის მორიგ კრებაზე და აქ გამოვლანძღავს.“

ნათქვამია: ატოცელი კაცი გორში გალანძღეს, გული ცხინვალში მოუვიდაო. შორაპანში კი სულ სხვანაირად სცოდნიათ: გული სახლში მოჯდათ, ხოლო კაცს ქალთა კრებაზე გალანძღვენ. სწორედ კარგი და მისაბამი ჩვეულებაა!.

გამოიწვიეთ და გააპრსველეთ

თქვენი გაზეთი

„მუშა“

თქვენი გაზეთი

გაე. „მუშა“-ს აქვს უფასო დაება

ყოველკვირეული
იუმორისტული ჟურნალი

„სტრსტაროზი“

გაზეთი თვეში ღირს 60 კაპ.

გაზეთ „მუშა“-ს მთავარ კანტორას საქართველოს ყველა მთავარ ქალაქებში და დაბებში აქვს განყოფილებები, სადაც მიიღება გაზეთზე ხელისმოწერა.

რედაქცია და კანტორა: რუსთაველის პროსპექტი № 24.

